არგუმენტირებული ესე

მერკანტილისტები და ფიზიოკრატები- რომელი უკეთ გამოხატავდა XVIII საუკუნის საზოგადოების ინტერესებს (მეორე თავზე დაფუძნებით)

XVIII საუკუნეში ჩამოყალიბდა ახალი ეკონომიკური სისტემა, რომელმაც შეცვალა საზოგადოების დამოკიდებულება შრომისა და ეკონომიკის მიმართ. ამ პერიოდში გავრცელებული იყო მერკანტილისტებისა და ფიზიოკრატების ეკონომიკური შეხედულებები.

მერკანტილისტები სახელმწიფოს სიმდიდრეს აკავშირებდნენ ძვირფასი ლითონების დაგროვებასთან. მათი ეკონომიკური პოლიტიკა გულისხმობდა სახელმწიფოს ძლიერ ჩარევას ეკონომიკაში, რაც ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას, თუმცა ზღუდავდა ინდივიდის თვითაქტუალიზაციას.

ფიზიოკრატები მიიჩნევდნენ, რომ სიმდიდრის მთავარი წყარო წარმოება, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობა იყო. ისინი მხარს უჭერდნენ ეკონომიკურ თავისუფლებას და ბუნებრივ წესრიგს, რაც ადამიანს აძლევდა განვითარების და თვითაქტუალიზაციის მეტ შესაძლებლობას. ამასთან, ფიზიოკრატები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სოციალურ და კულტურულ კაპიტალს.

შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ფიზიოკრატების შეხედულებები უფრო მეტად გამოხატავდა XVIII საუკუნის საზოგადოების ინტერესებს, რადგან ისინი ორიენტირებული იყვნენ ადამიანის შრომაზე, თავისუფლებასა და საზოგადოების მთლიან განვითარებაზე.

მერკანტილისტების ეკონომიკური პოლიტიკა ემსახურებოდა მმართველ ელიტასა და სავაჭრო ბურჟუაზიას. საზოგადოებაზე ზემოქმედება ხდებოდა სახელმწიფოს ძალაუფლების ბერკეტებით გადასახადებით, ტარიფებითა და მონოპოლიებით, რაც ეკონომიკურ პროცესებს ზემოდან აკონტროლებდა.

ფიზიოკრატები კი გამოხატავდნენ ფართო საზოგადოების, განსაკუთრებით გლეხობის ინტერესებს. ისინი ეკონომიკის განვითარებას ბუნებრივ პროცესებს უკავშირებდნენ და სახელმწიფოს ძალაუფლების შეზღუდვას მოითხოვდნენ.

XVIII საუკუნეში მიმდინარე მოვლენები და პროცესები სოფლის მეურნეობის განვითარება და განმანათლებლობის იდეები აძლიერებდა მოთხოვნას უფრო თავისუფალ ეკონომიკურ სისტემაზე. ამიტომ ფიზიოკრატების მიდგომა უკეთ შეესაბამებოდა საზოგადოების ინტერესებს.

ნინი ცხოვრებაშვილი